რა არის ფიქსირებული გადასახადი?

- თუ თქვენ ეწევით ავტომობილების ტექნიკური მომსახურებას და რემონტს, მათ შორის, სალტეების, საბურავების აღდგენას და რეგენერაციას, ასევე აღნიშნული მომსახურებისათვის განკუთვნილ ფართობზე სხვა მომსახურებას (ხალიჩების რეცხვას), საქმიანობის ამ ნაწილში უფლება გაქვთ, საშემოსავლო/მოგების გადასახადის ნაცვლად, გადაიხადოთ ფიქსირებული გადასახადი.

რამდენია ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი?

- განკუთვნილ სამუშაო ადგილზე - 100 ლარი;

იმ შემთხვევაში თუ ერთმნიშვნელოვნად ვერ დგინდება, რამდენი ავტომობილის მომსახურებისთვისაა განკუთვნილი სამუშაო ადგილი - ყოველ 40 კვ.მ-ის ფარგლებში ფართობზე - 100 ლარი.

რა შერავათით სარგებლობს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი?

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მიღების შემთხვევაში:

- საქმიანობისამნაწილშიგათავისუფლდებით საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან;

- გათავისუფლდებით შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის - ბუღალტერიის წარმოების ვალდებულებისაგან;

- გათავისუფლდებით საშემოსავლო/მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან;

- თუ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გადააჭარბებს 100 000 ლარს, არ დაგეკისრებათ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება;

- თუ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გადააჭარბებს 100 000 ლარს, არ დაგეკისრებათ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება;

- თუ წლის გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ზამთარში, ზაფხულში ან სხვა სეზონზე) შეაჩერებთ საქმიანობას, უნდა აცნობოთ შემოსავლების სამსახურს. საქმიანობის შეჩერების პერიოდში არ დაგეკისრებათ ფიქსირებული გადასახადის გადახდის ვალდებულება.

რა შეზღუდვები გააჩნია ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს?

- თუ თქვენ ხართ დღგ-ის გადამხდელი, ვერ მიიღებთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსს;

- სხვა პირი ვერ ჩაითვლის თქვენს მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯს, შესაბამისად, ვერ გამოიყენებს თქვენს მიერ გამოწერილ ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს.

როგორ დავიბეგრები დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში?

თუ თქვენ დამატებით ახორციელებთ სხვა საქმიანობას, დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში ვალდებული ხართ, საშემოსავლო/მოგების გადასახადი გადაიხადოთ საერთო წესით. ამასთან, დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, უფლება გაქვთ, დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში მიიღოთ მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსი.

როგორ უნდა მოვიქცე თუ მაქვს მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი

თუ თქვენ სარგებლობთ მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსით, უფლება გაქვთ:

- მიმართოთ შემოსავლების სამსახურს საქმიანობის ამ ნაწილში მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით და მიიღოთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი ან

- შეინარჩუნოთ მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი.

როგორ უნდა მივიღო ფიქსირებული გადასახადის სტატუსი?

თუ თქვენ სარგებლობთ მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსით, უფლება გაქვთ:

- თქვენ უფლება გაქვთ აირჩიოთ: გადაიხადოთ საშემოსავლო/მოგების გადასახადი საერთო წესით ან გადაიხადოთ ფიქსირებული გადასახადი.

- ფიქსირებული გადასახადის სტატუსის მიღების მიზნით განცხადებით უნდა მიმართოთ შემოსავლების სამსახურს. აღნიშნული შესაძლებელია ელექტრონული ფორმით შემოსავლების სამსახურში მიუსვლელად ან ადგილზე, საგადასახადო ოფიცრის მეშვეობით.

- თქვენ უფლება გაქვთ, ფიქსირებული გადასახადის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით შემოსავლების სამსახურს მიმართოთ წლის ნებისმიერ თვეს.

როგორ უნდა გადავიხადო ფიქსირებული გადასახადი?

- ფიქსირებული გადასახადი უნდა გადაიხადოთ წინასწარ, თვის დაწყებამდე.

- სამუშაო ადგილის (მომსახურების გასაწევად გამოყენებული სამუშაო ადგილის)რაოდენობის გაზრდის/შემცირების შემთხვევაში,ვალდებული ხართ,აცნობოთ შემოსავლების სამსახურს.